უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 32

20 18 წ. "19" 04

ქ.თბილისი

,,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 01 სექტემბრის №25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს ,,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 01 სექტემბრის №25 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206155328) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება	მეოთხე	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041654	60	ქართული	5	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი №16
2	საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება	მეხუთე	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041654	60	ქართული	5	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი №16
3	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური მომსახურება	მეოთხე	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების ავიატექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041655	60	ქართული	5	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი №16
4	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური მომსახურება	მეხუთე	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების ავიატექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041655	60	ქართული	5	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი №16
5	კომერციული პილოტი (ინგლისურ ენაზე)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პილოტის(კომერციული პილოტი) პროფესიული კვალიფიკაცია 041651	70	ინგლისური	15	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი №16

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 19 აპრილის №05 სხდომის ოქმის მე-6 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი